ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად ქალაქის მერია 4 მილიონი ლარის მობილიზებას გეგმავს

ალიონი. გასულ ხუთშაბათს ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, სადაც 6 საკითხი განიხილეს და დაამტკიცეს.

სხდომაზე ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში მორიგი ცვლილებები და დამატებები შეიტანეს.

იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამაში სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 10 000 ლარით შემცირდა და იგივე მუხლი მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამაში გაიზარდა 10 000 ლარით;

ბინათმშენებლობის პროგრამული კოდი 9000 ლარით შემცირდა; 26 000 ლარით შემცირდა კეთილმოწყობის სამუშაოების პროგრამული კოდი;

35 000 ლარით გაიზარდა საგზაო ინფრასტრუქტურის პროგრამული კოდი.

ბიუჯეტი 153 000 ლარით გაიზრდება – (ქონების გადასახადი - 50 000 ლარით; პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი 31 000 ლარით; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებელი – 72 000 ლარით).

გაზრდილი ბიუჯეტის შესაბამისად ხარჯები გადანაწილდება შესაბამისად:

კომუნალური მომსახურების ცენტრის სუბსიდია გაიზრდება 30 000 ლარით;

დასუფთავების ღონისძიებები გაიზრდება 123 000 ლარით.

2015 წლის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი 141 ათას ლარს შეადგენს. მისი განკარგა ქ. ოზურგეთის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდება.

საკრებულომ დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ.“

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის №18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;“ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვლფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ.“ ასევე– „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №41 (10131), 19 ოქტომბერი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

ბჟუჟი ექადიაზე მოსახლეობას საფრთხეს უქმნის

ალიონი. გადაულებელი წვიმების შედეგად, წმინდა გიორგის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ბჟუჟი კალაპოტიდან გადმოვიდა და მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებს ახალი საფრთხე შეუქმნა.

სიტუაციის შესასწავლად, ადგილზე ქალაქის მერი, ბეგლარ სიორიძე, საკრებულოს თავჯდომარე, გელა კობალაძე და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები, ლავრენტი ბიგვავა და ლევან თოიძე იმყოფებოდნენ.

როგორც ქალაქის მერმა განაცხადა, მდინარე ბჟუჟის ერთ ნაპირზე გაბიონის მოსაწყობად პროექტი და ხარჯთაღრიცხვა მომზადებულია და დაფინანსების მოთხოვნა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის, უკვე გაგზავნილია. უახლოეს დღეებში კი დამატებით პროექტი ბჟუჟის მეორე სანაპიროზე გაბიონის მოსაწყობის მიზნით მომზადდება. შესაბამისი სამუშაოები დაფინანსების მიღებისთანავე დაიწყება.

ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ, როდესაც მდინარე ბჟუჟი კალაპოტიდან გადმოდის. ყოველი ძლიერი წვიმის დროს მდინარე აღნიშნულ ტერიტორიაზე სანაპიროს გარკვეულ ნაწილს შლის და საკარმიდამო ნაკვეთებს დატბორვით ემუქრება.

ალმაშენებლის ქუჩაზე ავტომანქანამ ორი შვილის დედა გაიტანა

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ორი შვილის დედა მ. თ-ი საკუთარი სახლიდან ეზოს მოპირდაპირე მხარეს გადადიოდა რა დროსაც მას „ფოლკსვაგენის“ მარკის ავტომანქანა დაეჯახა. მანქანის მძღოლი მომხდარის შემდეგ პოლიციას თავისი ნებით ჩაბარდა. ის ამ დროისთვის გურიის სამხარეოს მთავარ სამმართველოში იმყოფება. მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის 1 ნაწილით მიმდინარეობს.

იმედაშვილის ქუჩის იმედგაცრუებული მოსახლეობა არჩევნებზე გამოუცხადებლობით იმუქრება

„ბარემ ოფიციალურად გამოაცხადონ, რომ ეს ქუჩა კი არა, ჯოჯოხეთია“

ალიონი. საპარლამენტო არჩევნებამდე მთელი ერთი წელიწადია. ოზურგეთში კი, ხანგრძლივი დროით უწყლოდ დარჩენილი და ამის გამო ადგილობრივ ხელისუფლებაზე განაწყენებული იმედაშვილის ქუჩის მოსახლეობა უკვე ამ არჩევნებზე გამოუცხადებლობით და მანამდე საპროტესტო აქციებით იმუქრება.

„წყალი ჩვენთვის არ არის და გზა. ძველი ხელისუფლებაც გვპირდებოდა და ამასწინათ ახალიც (გუბერნატორი და ქალაქის მერი) შეგვპირდა, მოგიგვარებთო პრობლემას, მაგრამ, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ სახანძრო მანქანით რამდენიმე დღე გვამარაგებდნენ ტექნიკური წყლით, არსებითად არაფერი შეცვლილა. ახლაც, როცა ცხელი ზაფხული უკან დარჩა და საკმაოდ უხვნალექიანი პერიოდია, უწყლოდ ვართ. ძველი წყალსადენი იყო და, ეკონომიკის სამინისტროს გაუყიდია. რამდენ ხანს უნდა ვიყოთ ასე ხახამშრალები?!

აი, თუნდაც ქუჩა ნახეთ, რა დღეშია ავტოტრანსპორტითაც სახიფათოა გადაადგილება და ფეხითაც. ზამთარიც მოგვიახლოვდა და ალბათ, სიტუაცია გაუარესდება.

მოსახლეობაში ჩადგულ სატელევიზიო ანძაზე ყველაფერი ერთადაა ახირხლული – როგორც სატელევიზიო სიგნალის გადამცემი აპარატურა, ისე ინტერნეტისა და რაციის ტექნიკური საშუალებები. რადიაციის დონეც საშიშ ზღვრამდე იქნება გაზრდილი. ვის არ მივმართეთ, მაგრამ აინუნშიაც არ ჩაუგდიათ. იქნებ სწორედ რადიაციის შედეგია, რომ ხშირად თავბრუხვევას ვუჩივით.

ბარემ ოფიციალურად გამოაცხადონ, რომ ეს ქუჩა კი არა, ჯოჯოხეთია, ოღონდ გვითხრან, რატომ გაგვიმეტეს საჯოჯოხეთოდ?!

იცით რა გითხრათ? – დაპირება და დაიმედება, იცოცხლეთ, ძველმა ხელისუფლებამაც იცოდა და არც ახალს ეშლება, დანაპირების შესრულება კი ერთსაც უჭირდა და მეორესაც უჭირს. ამიტომ, ვაცხადებთ, იძულებული ვართ, რომ გავმართოთ ჯერ გამაფრთხილებელი, შემდეგ კი საპროტესტო აქციები. ზოგადად, ხელისუფლებებს მხოლოდ არჩევნებზე ვახსენდებით. ერთ წელიწადში საპარლამენტო არჩევნებია, აქედანვე იცოდნენ, იმედაშვილის ქუჩის მოსახლეობა, რომელიც ასამდე ამომრჩეველს ითვლის, ამ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, თუ ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამი პრობლემა დადებითად არ გადაწყდება.“ – თქვეს „ალიონთან“ საუბარში აღნიშნული ქუჩის მცხოვრებლებმა.

იმედაშვილის ქუჩის მცხოვრებთა ეს საპროტესტო წერილი გავაცანით გურიის გუბერნატორს, ბატონ **გია სალუქვაძეს,** რომელმაც განმარტა:

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

იმედაშვილის ქუჩის იმედგაცრუებული მოსახლეობა არჩევნებზე გამოუცხადებლობით იმუქრება

„ბარემ ოფიციალურად გამოაცხადონ, რომ ეს ქუჩა კი არა, ჯოჯოხეთია“

„გურიის რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონული პროექტების ფონდიდან ფინანსდება აქტიურ ფაზაშია. იმ სოფლებსა და ქალაქის ქუჩებზე, სადაც წლების განმავლობაში ინფრასტრუქტურული პროექტები არ განხორციელებულა სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. ჩვენი ყველა პროექტი მოსახლეობის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. მინდა აღვნიშნო, რომ ქალაქ ოზურგეთში იმედაშვილის ქუჩის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას შედგენილი აქვს და შესაბამისად სამუშაოები მომავალი წლიდან დაიწყება. რაც შეეხება ანასეულში რადიაციის არსებობას შემიძლია გითხრათ, რომ სატელევიზიო სიგნალის გადამცემი აპარატურა სხვადასხვა კერძო კომპანიების საკუთრებაში გახლავთ; ამ თემაზე უკვე მქონდა ქალაქის მერთან საუბარი და მერია მობილურ ოპერატორებს ოფიციალური წერილით მიმართავს; მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით აღნიშნული ტერიტორია კიდევ ერთხელ შემოწმდება. ჩემი მიზანია, რაც შეიძლება ეფექტურად და ოპერატიულად მოვახდინო რეგიონში მცხოვრები თითოეული მოქალაქის სხვადასხვა სახის პრობლემის დროულად გადაჭრა. ცენტრალური ხელისუფლების დახმარებითა და ჩვენი ძალისხმევით ვეცდებით უახლოეს მომავალში ადგილობრივთა ამჟამინდელი პრობლემა მაქსიმალურად მოვაგვაროთ“.

ქალაქის მერი ***ბევლარ სიორიძე*** *კი ამ პრობლემებზე ჩვენთან საუბრისას შემდეგ კომენტარს აკეთებს:*

„ნურავინ იფიქრებს, რომ ქალაქის ზოგიერთი ქუჩა პრიორიტეტია ჩვენთვის, ზოგი კი ყურადღების მიღმა გვრჩება. მერწმუნეთ, რომ ყველა ქუჩის შესახებ ვფლობ ინფორმაციას და კარგად ვიცი, სად რა უჭირთ და სჭირდებათ ჩემს თანაქალაქელებს. ჩვენი ბიუჯეტის შესაძ-ლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ვცდილობთ, თითოეული თეთრი მოსახლეობის საჭიროების მიხედვით დავხარჯოთ, გამუდმებით ვმუშაობ დამატებითი სახსრების მოძიებაზე და ხშირად ამას წარმატებით ვახერხებ. რაც შეეხება წყალს, ანასეულში უწყლობის პრობლემის გადაჭრის გზები ნაპოვნია, მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები და ქალაქის მერია, წყალმომარაგების კომპანიასთან ერთად, მომავალ წელს ანასეული-ექადიის წყლის სისტემის კაპიტალურ რეაბილიტაციას დაიწყებს.

იმედაშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარის დასაგებად პრო-ექტი და ხარჯთაღრიცხვა შედგენილია და მომავალ წელს, ამ სამუშაოს შევუდგებით. რაც შეეხება ანასეულში მდებარე ანძებს, მათგან ორი ''შაგთისა'' და ''ჯეოსელის'' საკუთრებაა, ხოლო ერთი საზოგადოებრივ მაუწყებელს ეკუთვნის. ანძები უსაფრთხოების ზონისა და წესების დაცვითაა დადგმული, თუმცა რაკი მოსახლეობა ვარაუდობს, რომ მათ ამ მხრივ გარკვეული დისკომფორტი ექმნებათ, ჩვენ უკვე მივმართეთ მობილურ ოპერატორებს, როგორც მათ განაცხადეს, მიმდებარე ტერიტორიას რეგულარულად ამოწმებენ, თუმცა ჩვენი ოფიციალური მიმართვის საფუძველზე, მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით, ტერიტორია კიდევ ერთხელ იქნება გამოკვლეული“.

ქ. ოზურგეთში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად ქალაქის მერია 4 მილიონი ლარის მობილიზებას გეგმავს

ცხოველების – ძაღლის და კატის ყოლის წესის დამტკიცების შესახებ.“

ქ. ოზურგეთის მერია ოზურგეთში პროექტების განსახორციელებლად გრანტს და სესხს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ითხოვს. აქედან, 2 მილიონი გრანტის მიღების თაობაზე შუამდგომლობით მიმართავს საქართველოს მთავრობას, ხოლო 2 მილიონ ლარს სესხად აღებას გეგმავს, წლიური 15 % საპროცენტო განაკვეთით.

რა სამუშაოებს განახორციელებს ქ. ოზურგეთის მერია?

დაგეგმილია ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელთა ჩამონათვალი ასეთია:

ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე მდებარე №4 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია – 400 000 ლარი;

აღმაშენებლის ქუჩის (მოსკოვის ქუჩის გადასხვევიდან ბენზინგასამართ სადგურ „რომპეტროლამდე“) ტროტუარის მოწყობა (ორთავე მხარეს) – 630 000 ლარი;

მერაბ კოსტავას ქუჩის ტროტუარის მოწყობა (დუმბაძის ქუჩის გადაკვეთამდე) : –859 000 ლარი;

ჭავჭავაძის ქუჩის მარცხენა და მარჯვენა ტროტუარის მოწყობა:– შესაბამისად 100 765 და 86136,21 ლარი;

დოლიძის ქუჩის გზაგამყოფი (268 მ.) მოწყობა: 80667,47 ლარი:

ერისთავის ქუჩის გზაგამყოფის (116 მ.) მოწყობა:– 35 545,74 ლარი;

9 აპრილის და იოანე პეტრიწის ქუჩებზე გზაგამყოფის (458 მ.) მოწყობა:–139172,14 ლარი;

უსაფთხოების კუნძულების მოწყობა თამარ მეფის მოედანზე და 9 აპრილის ქუჩისა და ერისთავის ქუჩების კვეთაში:–40737,3 ლარი;

ჭავჭავაძისა და დოლიძის ქუჩებზე შენობების ფასადების მოწესრიგება:- 800 000 ლარი;

გურიისა და ნიკო ნიკოლაძის ქუჩებზე ტროტუარების (ასფალტ-ბეტონის) მოწყობა: –160 000 ლარი;

ლერმონტოვისა და საფო მგელაძის ქუჩის კანალიზაციის მოწყობა:– 100 000 ლარი;

ქალაქის ტერიტორიაზე მგზავრთა მოსაცდელის (20 ერთეული) მოწყობა:– 103224 ლარი;

ქალაქის ტერიტორიაზე სანაგვე ურნების მოწყობა: – 14282 ლარი;

ქალაქ ოზურგეთში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია:– 100 000 ლარი;

ქალაქ ოზურგეთში მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა: – 150 000 ლარი;

ქალაქ ოზურგეთში არსებული სკვერების და პარკების კეთილმოწყობა: – 200 000 ლარი.

თხილის ქურდი დააკავეს

ალიონი. შსს-ს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1993 წელს დაბადებული დაჩი კ. ქურდობის ბრალდებით ოზურგეთში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ოზურგეთის რაიონის დაბა ნასაკირალში, ნანული ძ-ს საცხოვრებელი სახლიდან 200 კგ თხილი მოიპარა, ოზურგეთში, თხილის ჩამბარებელ პუნქტში 1200 ლარად ჩააბარა და მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დაჩი კ. მომხდარიდან რამდენიმე დღეში დააკავეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ოზურგეთში ცოფის შემთხვევა დაფიქსირდა

ალიონი. ოზურგეთში, კოსტავას ქუჩაზე ცოფის შემხვევა დაფიქსირდა. დაავადებული ძაღლი ამჟამად ლიკვიდირებულია, თუმცა მოსახლეობა შეშფოთებას გამოთქვამს იმ მაწანწალა ძაღლების გამო რომლებიც ქუჩაში კვლავ დაძრწიან. დაუზუსტებელი ინფორმაციით ცოფიანი ძაღლების გამოჩენაზე ბათუმის ქუჩიდანაც იტყობინებიან და დახმარებას ითხოვენ.

მეფუტკრეთა დასახმარებლად

იმისათვის, რომ წარმატებულად და უდანაკარგოდ იქნეს გამოზამთრებული თქვენი ფუტკრის ოჯახები, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, დიდად მნიშვნელოვანი და მეტად საყურადღებოა საკმარისი საზამთრო, სამარაგო თაფლის განსაზღვრა და მისი ხარისხი.

ცნობილია, რომ არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, გვალვიან ამინდში თაფლოვანი მცენარეები ამცირებენ ან წყვეტენ ნექტრის გამოყოფას სანექტრეების საშუალებით და ტკბილ წვენს გამოყოფენ ფოთლებზე, რასაც მცენარეული მანანა ეწოდება.

ფუტკარს იგი შემოაქვს, როგორც ნექტარი.

არსებობს მანანის მეორე სახეც – ცხოველური მანანა. იგი არის ფოთლის ზედაპირზე მცხოვრები პარაზიტების – ფარიანების, მღიების და სხვათა მიერ კვების შედეგად გამოყოფილი, შეგროვილი ტკბილი წვენი, რომელსაც ითვისებს ფუტკარი.

მცენარეულთან შედარებით, ცხოველური წარმოშობის მანანა, რთული შემადგენლობის გამო, ფუტკრისათვის საშიშ პროდუქტს წარმოადგენს.

მანანა თაფლს რუხი ფერი აქვს, შეიძლება იყოს ყავისფერი, მომჟავო, ნაკლებად არომატული და ტკბილი, ზოგჯერ არასასიამოვნო მეტალისებური გემოსი. ფიჭაზე მიმობნეულია ძირითადად გადაუბეჭდავი სახით. თუ უჯრედში მანანა ნექტართან ერთად არის შერეული, მაშინ ასეთ თაფლიან უჯრედებს ფუტკრები გადაბეჭდავს. მანანა თაფლი ადამიანისათვის უვნებელია და მისი საკვებად გამოყენება შეუზღუდავია.

ხშირად მანანაზე, განსაკუთრებით ცხოველურზე, ვითარდებიან სხვადასხვა მიკროორგანიზმები, რომლებიც აძლიერებენ ფუტკარზე მის ტოქსიკურობას და ფუტკრის ორგანიზმი ვერ ინელებს მას, რაც ფუტკრის მოწამვლას იწვევს. ასევე ახასიათებს, როგორც სუროს თაფლს, ჩაკრისტალება, რასაც ფუტკრის შიმშილი მოჰყვება.

თუ თაფლში აღინიშნება მანანა 5-10%-ის რაოდენობით, იგი უარყოფითად არ იმოქმედებს დაზამთრებაში შესულ ფუტკარზე. თუ სამარაგო თაფლში მისი რაოდენობა 50%-ს შეადგენს, ამან შეიძლება ფუტკრის ოჯახის დაღუპვა გამოიწვიოს, ამიტომ საჭიროა იგი შეიცვალოს კარგი, ხარისხიანი თაფლით, ან ჩავუდგათ სათადარიგოდ შენახული თაფლიანი ჩარჩოები ან ვკვებოთ სქელი სიროფით პროპორციით 3 კგ შაქარი – 2 ლიტრი წყალი. 1 ლიტრ სიროფზე მივცეთ 5 მილიგრამი ბიოპრეპარატი აპიმაქსი, ან ნოზესტატის ხსნარი, რომელიც გამოირჩევა მკურნალობის მაღალი ეფექტით. რეკომენდებულია შაქრით სიროფის კვებისას 10 კგ შაქარს დაემატოს 3 გრამი კონცენტრირებული ძმარმჟავა, რაც ხელს უშლის თაფლის კრისტალიზაციას.

ზღვისპირა, დასავლეთ საქართველოს რეგიონებში ზამთრის პერიოდშიც არის საამისო გარემო პირობები. როცა თბილა და ფუტკარი ჩვეულებრივ ფრენს, დაუბრკოლებლივ შეგვიძლია ჩავატაროთ საფუტკრეში საკონტროლო რევიზია გარკვეულ ოჯახებზე. საერთოდ, ფუტკრის ოჯახების საზამთროდ მომზადებისათვის თადარიგი უნდა დავიჭიროთ მეორე ღალიანობის (ივლისის ბოლო –აგვისტოს დასაწყისი) დამთავრებისა და თაფლის გამოწურვის შემდეგ .

კარგად დაზამთრებული ჯანსაღი და ძლიერი ფუტკრის ოჯახები საწინდარია თქვენი ბიზნესის წარმატებისა.

* * *

2015 წლის სექტემბრიდან დაიწყო მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა, რომელსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს სსიპ „სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მეშვეობით.

პროგრამის მიზანია:

– სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა.

– სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კაპიტალური ინვესტიციების განხორციელება და მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება.

კოოპერატივი არის ერთიანი თანამოაზროვნეების წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობების განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება. კოოპერატივის ჩამოყალიბება მოითხოვს წევრების მხრიდან ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას.

კოოპერატივის მეშვეობით საწარმოო საშუალებების აღჭურვილობისა და ბაზრის შეძენა უფრო შესაძლებელია, ვიდრე ინდივიდუალურად.

სრულყოფილი ინფორმაციებისა და კონსულტაციებისათვის მიმართეთ აგროსერვისცენტრსა და მეფუტკრეთა კავშირს.

ტელ.
599 927511; 599 214344

ჯანვერდი ცეცხლაძე,
გურიის მეფუტკრეთა კავშირის თავმჯდომარე.

რა დააშავეს პენსიონერებმა?

– ის ხომ არა, რომ თავიანთი ალალი, დაუღალავი, თავდაუზოგავი შრომით საპენსიო ასაკამდე მიაღწიეს, აღზარდეს შესანიშნავი თაობები, მსოფლიო მეცნიერებაში, კულტურის, განათლების სისტემის სრულყოფაში მომუშავე კადრები. უზადო წვლილი შეიტანეს და დღესაც შეა-ქვთ სახალხო მეურნეობის განვითარებაში და უკანასკნელ სისხლის წვეთს არ იშურებენ მისი აღმავლობისათვის.

მე პირადად მოვესწარი სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ანდროპოვის, ჩერნენკოს, ელცინის, გორბაჩოვის მოღვაწეობის პერიოდს. იყო წარმატებები, ჩავარდნები, შეცდომები, მაგრამ პენსიონერები გაცილებით ამაყად და უდრტვინელად გრძნობდნენ თავს. დღეს კარდინალურად შეიცვალა პენსიონერთა მიმართ ყურადღებიანი თბილი, მოსაფერებელი გარემოც კი.

როგორც პენსიონერი, ვეკითხები საკუთარ თავს – რა ხდება? ჩვენ ხომ არ მიგვიძღვის ამაში რაიმე ბრალი, ჩვენც ხომ არ შევიცვალეთ, ხომ არ გავცივდით ურთიერთობებში? პასუხი ჩემგან ერთია – არამც და არამც!

მინდა ერთი ეპიზოდი მოვიყვანო ჩემი ცხოვრებიდან. როდესაც იოსებ ბესარიონის ძე სტალინი გარდაიცვალა, ჯერ კიდევ პატარა ვიყავი. მახსოვს პირველად მასწავლებლის ნინა მამინაშვილის შთაგონება: „ბავშვებო, სადაც იწნებით, როცა მატარებლის ან მანქანების სიგნალებს გაიგონებთ, გაჩერდით, ქუდი მოიხადეთ და პატივი მიაგეთ სტალინის ხსოვნას.“

მეც, სახლში მიმავალს, კონჭკათის საშუალო სკოლიდან სირენები მომესმა ანგული ჩანჩიბაძის ეზოსთან, შევჩერდი და მასწავლებლის რჩევა შევასრულე. როგორ გუშინდელივით მახსოვს შუა ქუჩაში მდგომს პირისპირ ხალხით სავსე სატვირთო მანქანა მომადგა. არ გავნძრეულვარ. გადმოხტა მანქანიდან მძღოლი, აწ გარდაცვლილი კუკური რუსიეშვილი, მომვარდა, მომეფერა და მკითხა, ცუდად ხომ არ ხარო? ვუთხარი მტირალმა, ასე რატომ ვიდექი. გასძახა ყანებიდან მომავალ ხალხს, ჩამოდით და ერთად მივაგოთ პატივი სტალინის ხსოვნასო. ყველაფერი წამებში მოხდა და დაახლოებით 30 ადამიანი მოჭარბებული ცრემლებით ვტიროდით... აი, სად იყო მაშინ გვერდში ურთიერთდგომა, დაფასება, რწმენა და მომავალზე ფიქრი.

ეს ეპიზოდი დარჩა ჩემს ცხოვრებაში მეგზურად სიკეთის კეთებისა, რომელსაც არც ამჟამად ვღალატობ.

დღეს მე ვმუშაობ საზოგადოებრივ საწყისებზე გურიის რეგიონის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარედ, რეგიონში, სადაც 27 ათასამდე პენსიონერია. მინდა ყოველმხრივ შე-ვძლო მათი დახმარება. ამაზე ფიქრობს და ოცნებობს კავშირის თავმჯდომარე, ბატონი ადელკინ კოპლატაძე.

თავდაუზოგავად ვშრომობთ და სულ ახლახან 28 სექტემბრის შეკრებაზე თბილისში გურიის პენსიონერთა კავშირის გამოცდილება სამაგალითო გახდა მთელი საქართველოს მასშტაბით.

1 ოქტომბერს ჩვენი წვლილი შეგიტანეთ პენსიონერთა მსოფლიო დღის აღნიშვნის საქმეში.

მე ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს, პირდაპირ განვაცხადო, რომ არსებული პენსია სადღეისოდ მხოლოდ მინიმუმ საკვებზე თუ ყოფნის პენსიონერს, ვერტიკალურად მოძრაობაში თავი რომ დაიჭიროს.

დანარჩენი? სად მოიპოვოს დანარჩენი?

ჩვენი გათვლებით, პენსიონერის საარსებო ოპტიმალური თანხა (მუხედავად სახელმწიფოს დახმარებისა და ყოველმხრივ ხელშეწყობისა) 380-400 ლარია (ლარის დოლართან მიმართებით გარკვეულწილი გაუფასურება გვაქვს მხედველობაში).

ჩვენივე წიაღში, საზოგადოებაში უნდა ვეძიოთ გამოსავალი. მაქვს პენსიონერებთან კოოპერირების რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით, ჯერჯერობით ვმუშაობ ამ საკითხებზე, მათ დახვეწაზე, სოფლის მეურნეობის აკადემიურ დოქტორ ანზორ ბურჭულაძესთან ერთად.

პირადად გაზეთ „ალიონში“, – ამაყად შემიძლია ვთქვა, ოზურგეთელთა სახალხო გაზეთში, რომელსაც დღეს უჭირს და ფინანსური დახმარება სჭირდება, გამოვაქვეყნე სტატია „მონოლოგი საკუთარ თავთან“ (27 აპრილი, №17, 2015 წელი), სადაც, მრავალმხრივ მიმოხილვასთან ერთად, ვაცნობდი საზოგადოებას, რომ ვინც მაღალანაზრაურებადი ტარიფებით სარგებლობენ, მათ 1%, ან შესაძლებლობის ფარგლებში (თუნდაც ერთიდან ხუთ ლარამდე) ჩაერიცხათ პენსიონერთა ანგარიშში (რომელიც ჯერჯერობით დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“).

ამით სამი სასიკეთო საქმე გაკეთდებოდა:

1. მოიგებდნენ გაჭირვებაში მყოფილი პენსიონერები და ირწმუნებდნენ, რომ ისინი მარტო არ ებრძვიან სიდუხჭირეს.

2. მოიგებდა მაღალანაზღაურებად განაკვეთებზე მომუშავეები. უფალი, უბრალო მოკვდავებთან ერთად, დაინახავდა და დედამიწაზე მათ დიდ მისიას, რომელსაც განახორციელებდნენ უპოვართა გვერდში დგომით.

3. მოიწონებდა მათ ქმედებას მთავრობა, რომელსაც ამჟამად არა აქვს პენსიების გაზრდის მეტი შესაძლებლობა შინაურ და გარე ძალებთან ბრძოლის პერიოდში.

მინდოდა გურია ყოფილიყო ამ ინიციატივის მებაირახტრე ქვეყანაში.

გურიის 27 ათასამდე გურული პენსიონერი მთავრობის ყველა გამოძახილს იმედით, გაგებით და რწმენით გვერდში დაუდგებოდა.

გურამ ცერცვაძე,
გურიის რეგიონის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარე, რესპუბლიკური გამგეობის წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

P.S. პენსიონერებს მინდა ვახარო, რომ გურიის ამჟამინდელმა გუბერნატორმა, ბატონმა გია სალუქვაძემ, მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა მერაბ ჭანუყვაძემ თავიანთ მომავალ სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტად გამოაცხადეს ნასაკირალის სამკურნალო წყლების აღდგენის საქმე. ეს ხომ პენსიონერთათვის მკურნალობისა და გავჯანსაღების წლიურად მოქმედი პანსიონატი იქნება.

ყველა პენსიონერი ამ აუცილებელი საქმის გასაკეთებლად არ დავიშურებთ ჩვენს ენერგიას და შრომით მივიღებთ მონაწილეობას მისი აღდგენის საქმეში.

ხსოვნა

ჩვენო ია!

დაბადების დღე მოვიდა უშენოდ. ცრემლიანი თვალებით ვიხსენებთ შენთან გატარებულ თითოეულ წელს. ძალიან გვაკლია შენი მხიარულება, შენი სიკოხტავე. შენ ხომ სულით ძლიერი და შეუპოვარი იყავი, არავის აგრძნობინებდი შენს აუტანელ ტკივილს... ტკივილს, რომელმაც წაგვართვა შენი თავი.

ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები...

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო საყვარელო!

კონჭკათის საჯარო სკოლის კოლექტივი, ოზურგეთის განათლების მუშაკთა პროფკავშირი.

ნანა ჩხაიძე

ნანა, ზეგ, 21 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა.

მძიმეა იმასთან შეგუება, რომ ჩვენთან არასოდეს არ იქნები.

სიყვარულით და სიხარულით სავსე ოჯახი გვქონდა. მაგრამ საბედისწერო ავტოკატასტროფამ ერთ წუთში დაანგრია იგი. ვიტოვებ იმის იმედს, ჩვენ კვლავ შევხდებით ერთმანეთს. ამისთვის მუდამ ვილოცებ.

შენი შვილი გოჩა, შვილიშვილები გიორგი და ანრი შენს ხსოვნას პატივს მიაგებენ და რასაოდეს დაგივიწყებენ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

შენი მეუღლე **ანზორი**.

განცხადება

ქირავდება, იყიდება გრიბოედოვის ქ. №21-ში I სართულზე 90 კვ. მ ფართის საცხოვრებელი სახლი, რომელიც გამოიყენება კომერციულ საჭიროებისთვის და საოფისედ.

ტელ:
599 587 532

გურამ შარაძე

2007 წლის მაისის პირველ რიცხვებში კუს ტბაზე შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს . ადრეც არაერთხელ შევხვედრივარ, ვიწრო წრეშიც სუფრაზე მისი თამადობაც მომისმენია, უაღრესად საინტერესო მოსაუბრე იყო, მაგრამ იმ დღეს განსაკუთრებით ენაწყლიანი მეჩვენა . ორ საათზე მეტ ხანს ვისაუბრეთ, გავიხსენეთ ძველი ოზურგეთი და ოზურგეთლები, მისი ადრიანად გარდაცვლილი ძმაც, რომელსაც ჩემს უფროს მეგობრად ვთვლიდი . როგორც ყოველთვის იცოდა ხოლმე ჩვენი შეხვედრისას , განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა დედაჩემის მიმართ, სკოლაში ქალბატონი ლამარას კარგად ნასწავლებმა გერმანულმა დიდი სამსახური გამიწია ცხოვრებაშიო . გეგმებზე შევეკითხე და გაეცინა, საოცრად გულღია და გადამდები სიცილი იცოდა.

– ზურიკო, იმდენი მასალა მაქვს ჩამოტანილი უცხოეთიდან, 50 წელი, რომ კალამი არ გავაგდო ხელიდან, ფურცელზე გადატანას მაინც ვერ მოვასწრებო - თბილად დავშორდით . ორიოდ დღეში სამსახურში მისი „ ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის „ ხუთტომეული გადმომცეს, გურამმა გამოგიგზავნათო . ყველა ტომის ყდაზე რუდუნებით წაეწერა საკმაოდ ვრცელი ტექსტი, რომელიც იწყებოდა და მთავრდებოდა სიტყვებით „პატივცემულ ზურაბ თოიძეს ..... სიყვარულით და პატივისცემით ავტორისაგან „მის სტილში“

ერთი თვეც არ იყო გასული რომ მოკლეს და ალბათ ეს იყო ყველაზე სასტიკი და ცინიკური პოლიტიკური მკვლელობა საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომელიც ყოველთვის შავ ლაქად დარჩება ახალი ქართული სახელმწიფოს სხეულზე . ფილოლოგი, ისტორიკოსი, პოლიტიკოსი, მეცნიერ - აკადემიკოსი გურამ შარაძე 17 ოქტომბერს 75 წლის გახდებოდა . ნათქვამია, კარგი კაცის გახსენება პატივს მიაგებს არა მარტო მას, ვისაც იხსენებენ, არამედ მათაც, ვინც იხსენებსო . ჰოდა, გურამის, ღირსეული კაცის გახსენება, განსაკუთრებით ოზურგეთლებისგან, ღირსეული საქციელია, მით უმეტეს, როცა ცოტანი დარჩნენ ქართულ პოლიტიკაში მასავით გულანთებული პატრიოტები და მასავით მასშტაბურად მოაზროვნე ერუდირებული პოლიტიკოსები ..... ხან იმასაც ვფიქრობ, დარჩნენ კი საერთოდ ???!!! .....

ზურაბ თოიძე

ავტომობილები განვადებით

ავტომობილების განვადება 6-დან 36 თვემდე 2%-ში. დაზღვევით ნებისმიერი ავტომობილი ამერიკის და იაპონიის აუქციონებიდან, ფელი შეზღუდული არ არის, მოქმედებს შიდა უპროცენტო განვადება 3 თვით + გაცვლა. გარანტიით, საკმაოდ დაბალი ფასები.

ტელ. 595 11 10 30; ზურა, 598 47 47 03 დათო.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. №11, მე-2 საჯარო სკოლის გვერდით.

(რ)

თანამდევი სიკეთე

ჯანდაცვა დღევანდელ საქართველოში ყველაზე უფრო ხელმისაწვდომად და ქვეყნისათვის უმთავრეს პრიორიტეტად ითვლება. ახალი ხელისუფლების პირობებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2013 წლიდან ამოქმედებულმა საყოველთაო ჯანდაცვის სისტემამ უამრავი ადამიანის სიცოცხლე იხსნა. დღესდღეობით აღარავის აქვს იმის შეგრძნება, რომ მისი სიცოცხლე უსახსრობის გამო დაუცველი დარჩება. ამის მიუხედავად, რამდენიმე დღის წინ ჩვენ, ყველანი, მწარე რეალობის წინაშე აღმოვჩნდით. საქმე ისაა, რომ ქალაქ ოზურგეთის მკვიდრს, 36 წლის ახალგაზრდას, ალექსანდრე კვაჭანტირაძეს, მოულოდნელად თანდაყოლილი გულის მანკის უმძიმესი ფორმა დაუდგინდა და მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ძლიერ შეგვძრა ალექსანდრეს მდგომარეობამ. 3 წლის ლუკას მამის სიცოცხლის გადარჩენა ჩვენს ვალდებულებად იქცა. მისი გადარჩენის ერთადერთი გზა ძვირადღირებული ოპერაცია იყო, რომლის საერთო ღირებულება 17 155.00 ლარს შეადგენდა. აღნიშნული თანხის 70% ანუ 120008.50 ლარი სახელმწიფოს მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით დარჩა დაფინანსებული. დარჩენილი 5 146. 50 ოჯახის გადასახდელი ვალდებულება გახდა. ვინაიდან ალექსანდრეს ოჯახი მძიმე ფინანსურ პრობლემებს განიცდის, აღნიშნული თანხის მოძიება მათთვის პრაქტიკულად შეუძლებელი შეიქმნა. სამწუხაროდ, ჩვენი ქალაქის მწირი ბიუჯეტი იმის საშუალებას არ გვაძლევს, რომ ერთი მოქალაქე რამდენიმე ათასი ლარით დავაფინანსოთ. აქედან გამომდინარე, ქალაქის მერიამ ალექსანდრეს შესაძლებლობის ფარგლებში 500 ლარით დაეხმარა. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ქალაქის მერია აქტიურად ვთანამშრომლობთ ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატთან საქართველოს პარლამენტში ზვიად კვაჭანტირაძესთან, რომლის ბიუროს მეშვეობით არაერთ ოზურგეთელს გაეწია დახმარება ჯანმრთელობის, მედიკამენტებისა თუ სხვა თვალსაზრისით. ალექსანდრეს შემთხვევაშიც დასახმარებლად ზვიად კვაჭანტირაძეს მივმართეთ. ზვიადმა გაითავისა ალექსანდრეს მდგომარეობა და უყოყმანოდ დახმარებას დაგვპირდა. მისი ჩარევითა და შუამდგომლობით ალექსანდრემ ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ 3600 ლარის დაფინანსება მიიღო. გულის ოპერაციამ ერთი კვირის წინ წარმატებით ჩაიარა. ამჟამად ალექსანდრე კვაჭანტირაძე თავს კარგად კარგად გრძნობს და რეაბილიტაციის კურსს გადის. მალე იგი სრულფასოვან ცხოვრებას დაუბრუნდება, რაშიც ლომის წილი ზვიად კვაჭანტირაძეს მიუძღვის.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქალაქის მერიის სახელით უდიდეს მადლობას ვუხდით ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს საქართველოს პარლამენტში ზვიად კვაჭანტირაძეს იმ დიდი თანადგომისა და იმ სიკეთისათვის, რასაც იგი ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის აკეთებს. ეს თანამდევი სიკეთე მას არა მარტო ალექსანდრესათვის, არამედ უამრავი ოზურგეთელთათვის აბსოლუტურად უანგაროდ გაუწევია.

გულისხმიერებისა და თანამშრომლობისათვის დიდი მადლობა ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს!

დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთად კვლავაც სიკეთის სადარაჯოზე დავრჩებით!

გელა კობალაძე

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

პროფესიონალიზმისა და ადამიანობის უბადლო მაგალითი

...ენერგიული ნაბიჯებით, თბილი ღიმილით, ტრადიციული და ამავე დროს, თანამედროვე, კრეატიული აზროვნებით, ცოდნით დახუნძლული, მოყვასის თანადგომით, ერთგულებით...ასე ვიცნობთ ჩვენს ეთერ აბაშიძეს, ვისთვის „სერგეევნა“, ვისთვის უბრალოდ ეთერი.

52 წელია უცვლელია მისი ყოველდღიური მარშრუტი: ოზურგეთი – ანასეული – ოზურგეთი. მრავალი თაობა აღზარდა დიდი სიყვარულით. თითონაც უხვად იმკის გაცემულს, ვალი უკლებლივ უბრუნდება, სიყვარულს სიყვარულით პასუხობენ.

თუ მასწავლებლობა მართლა გმირობაა, მაშინ ქალბატონი ეთერი ნამდვილი გმირია. მის პროფესიონალიზმზე ვერ ახდენდა გავლენას ეკონომიური სიდუხჭირე, უშუქობა, სიცივე. ჩვეული შემართებით ეჭიდებოდა სიძნელეებს, შედეგიც მუდამ სანაქებო ჰქონდა.

საუკეთესო მეგობარი, ყველას გულშემატკივარი. მისგან ვსწავლობთ თანადგომას, ერთმანეთის დანდობას, ურთიერთპატივისცემას.

დღეს ღვაწლმოსილმა პედაგოგმა სკოლასთან დამშვიდობება გადაწყვიტა. თუმცა გვჯერა, როგორც სჩვევია, ყოველთვის ჩვენ გვერდით იქნება ჭირსა თუ ლხინში.

გვინდა მადლობა გადავუხადოთ ჩვენთან გატარებული წლებისთვის . ვუსუროთ ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე.

სსიპ ქალაქ ოზურგეთის №5 საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი

ლიხაურის ჭიდაობის სკოლის აღსაზრდელებმა დავით ბედინაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე ხუთი მედალი მოპოვეს

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ლიხაურის ჭიდაობის სკოლის აღსაზრდელებმა მსოფლიო ჩემპიონ დავით ბედინაძის საერთაშორისო ტურნირზე ჭაბუკთა შორის, რომელშიც საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და რუსეთის უძლიერესი გუნდები მონაწილეობდნენ, ხუთი მედალი მოიპოვეს.

ამის შესახებ სკოლის ხელმძღვანელმა და მწვრთნელმა ალექსანდრე ბოლქვაძემ შეგვატყობინა.

55 კგ წონით კატეგორიაში I ადგილი მოიპოვა ირაკლი ძიმისტარიშვილმა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგა ასევე 100 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე სბა ცეცხლაძე. 42 კგ წონით კატეგორიაში მესამე იყო ანზორ ხურციძე; 69 კგ წონით კატეგორიაში ასევე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ლუკა ზაქარიაძემ, 65 კგ წონით კატეგორიაში კი – რობიზონ ესაძემ. მწვრთნელები – ალექსანდრე ბოლქვაძე და ბექა ჩოფლიანი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

19 ოქტომბერი ორშაბათი	20 ოქტომბერი სამშაბათი	21 ოქტომბერი ოთხშაბათი	22 ოქტომბერი ხუთშაბათი	23 ოქტომბერი პარასკევი	24 ოქტომბერი შაბათი	25 ოქტომბერი კვირა
მზე +10+22	მზე +11+24	მზე +14+24	მზე +15+26	წვიმა +16+24	ძლიერი წვიმა +16+24	წვიმა +13+20



ქართული ვაზი

№2 დანართი მომზადებულია შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ფინანსური მხარდაჭერით

ვაზის ნერგები წლეულს კვლავ დარიგდება

როგორც „გურული ვაზის“ პირველ ნომერში ვწერდით, გურიაში ვაზის აბორიგენული ჯიშებით მევენახეობის აღორძინებისთვის მნიშვნელოვან აქციას ატარებს კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, რომლის თავკაცმა, ბატონმა ზურაბ ჩხაიძემ ჯილაურას სანერგე მეურნეობაში შეისყიდა და გურია-აჭარის მცხოვრებ მოსახლეობას, მევენეხე ფერმერებს უფასოდ გადასცა გურიაში გავრცელებული ვაზის აბორიგენული ჯიშების 100 ათასი ძირი ნერგი. ამ ნერგებს შორის დიდი ოდენობით „ჩხავერის“ ნერგებია. ასევე დიდი მოთხოვნილებაა „ჯანის,“ „ალადასტურის,“„საკმიელას,“„კლარჯულის,“ „კამურის,“ „მტევანდიდის,“ და სხვა ნერგებზე.

გურიაში ვაზის ნერგების გავრცელებას ა (ა)იპ „ფერმერული განვითარების“ ცენტრის სპეციალისტი ანდრო ვაშალომიძე ხელმძღვანელობს. ნერგების გადაცემის დროს დადებული ხელშეკრულების თანახმად, ადგილობრივი მევენახეები ვალდებულნი არიან თავიანთი ზვრებიდან დაკრეფილი ყურძენი მტკიცე საბაზრო ფასებში ჩააბარონ „კახური ტრეადიციული მეურნეობის“ მიერ გურიაში უკვე აგებულ და ასაგებ ღვინის მარნებს.

როგორც „ფერმერული განვითარების“ ცენტრისა და გაზეთ „ალიონის“ერთობლივმა ექსპედიციებმა ცხადყვეს, გურიის ბევრ სოფელში დიდი გულისყურით მოეკიდნენ ვაზის აბორიგენი ჯიშების დარგვა-გახარება-მოვლის საქმეს. ამ მხრივ სამაგალითოა ხიდისთაველი, ერკეთელი, ასკანელი ფერმერები.

მეორე წელია სოფ. ასკანაში „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ ღვინის ქარხანას „როიალ ასკანას“ აშენებს. აქ გარდა ღვინის ქარხნისა, იქნება ღვინის მუზეუმი, ეთნოგრაფიული კუთხე, სასტუმრო, რესტორანი, სპორტული კუთხე და ა.შ.

ზურაბ ჩხაიძის თქმით, „როიალ ასკანა“ მნიშვნელოვანი ტურისტული ადგილი იქნება გურიაში და ათეულობით ადგილობრივი დასაქმდება.

რადგან აბორიგენ ჯიშებზე ვსაუბრობთ, თუ რა საქმიანობას ეწევა საქართველოს სხვა კუთხეებში „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ გაგაცნობთ.

აჭარაში, ქედაში „კახურმა ტრადიციულმა მეღვინეობამ“ ღვინის ახალი ქარხანა გახსნა, რომელიც მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი გახდა. აქ ძირითადად ამ რეგიონში მოყვანილ „ჩხავერის“ და „ცოლიკაურის“ ღვინოებს“ ჩამოასხამენ. ჯილაურას სანერგე მეურნეობიდან ამ რეგიონში „ჩხავერის,“ „ცოლიკაურის“, „ბუტკოს“ ჯიშის 60 ათას ნერგზე მეტი გადაეცა 12 ათას გლეხს. აქ 1 მილიონიანი ინვესტიცია განხორციელდა.

კახეთში, სოფ. პატარძეულში, სადაც „კახურმა ტრადიციულმა მეღვინეობამ“ იტალიური ფირმის „დელატოპოლას“ კონიაკისა და ღვინის ახალი ხაზები დაამონტაჟა, შეივსო ღვინის საცავები, დღე-ღამეში 100 ათას ბოთლს ასხამენ, გახსნეს სადეგუსტაციო დარბაზი და ტურისტული ცენტრი. დღეს იგი მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრია.

სოფ. ველისციხეში 5000 ტონა ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნის ინვესტირება მოახდინეს. აქ ინვესტიციის მოცულობა 8 მილიონი ლარია. აქვე ააშენეს მარნის ტიპის ობიექტი, რომელსაც „როიალ მუკუზანი“ უწოდეს.

შარშან, 13 დეკემბერს, მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში, კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობამ“ საზეიმოდ ჩაყარა ვაზის ნერგები ჭავჭავაძისეულ ისტორიულ ვენახებში, ადგილზე, სადაც თადეოზ გურამიშვილის მარნის მიმდებარედ არსებული ეს ნავენახარი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე უპატრონოდ იყო მიტოვებული.

კომპანია „კახურ ტრადიციულ მეღვინეობას“ ეს მიწები სახელმწიფომ 49-წლიანი იჯარით გადასცა. მეღვინეობა-მევენახეობის თვალსაზრისით, ეს ადგილი გამორჩეულად მნიშვნელოვანია საქართველოში, რადგან იგი მომავალში ადგილწარმოშობის სახელს დაიმკვიდრებს. ამ მიწებზე მოხდება ძველი, მივიწყებული ქართული ვაზის აღორძინება, გაშენდება ისეთი იშვიათი ჯიშების ვენახები, როგორებიცაა: „გორული მწვანე“, „ხიხვი“, „ქისი“, „ჩინური“, „თავკვერი“, „შავკაპიტო“, „დანახარული“, „თეთრი ბუდეშური“, „ბუზა“ და ა.შ.

კომპანიამ 20-წლიანი იჯარით აიღო თადეოზ გურამიშვილის მარანი, რომლის სარესტავრაციო სამუშაოებიც დასრულდა. ეს არის XVIII საუკუნის ისტორიული ძეგლი, რომელიც მეღვინეობის დარგში ერთ-ერთი თვალსაჩინოა აქ დაცული უძველესი, უნიკალური ქვევრებითა და საწნახლით. სწორედ აქ მოხდება ილიას ვენახებიდან მოწეული ყურძნის დაწურვა.

უახლოეს დღეებში აქ მარნის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა დასრულდება, რაც მნიშვნელოვანი სავიზიტო ადგილი იქნება უცხოელი ტურისტებისთვის.

ბატონ ზურაბ ჩხაიძეს არაერთხელ აღუნიშნავს და გაზეთი „ალიონი“ წერდა „მწვანე პროექტის“ ავტორზე, ბატონ ბიძინა ივანიშვილზე, რომელმაც 8 წლის წინ დააფინანსა ჯილაურას მეურნეობა, სადაც დღეს ქართული ვაზის 450-მდე ჯიშია აღდგენილი. ამაში უდიდესი წვლილი ლევან უჯმაჯურიძეს მიუძღვის. ამ ჯიშებს შორის გურულ ვაზს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რაც აძლევს საშუალებას გურულ ფერმერებს, რომლებსაც შესაბამისი მდებარეობა და კლიმატი ხელს უწყობს დაუბრუნოს გურული ვაზი ძველ ნიშნულს.

ქვევრი, ქვევრის ღვინო და UNESCO

მევენახეობა-მეღვინეობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში წამყვან ადგილს იჭერს. ღვინის პროდუქციის სახეობათა ნუსხა საკმაოდ მრავალფეროვანია და, შესაბამისად, გამოიყენება მისი დამზადების ურთიერთგანსხვავებული ტექნოლოგიები, მაგრამ არის კიდევ ერთი გამოკვეთილი ტექნოლოგია, რომელიც ტოლს არ უდებს და გზას იკვლევს კონკურენციულ ბრძოლაში, სულ უფრო მეტად იპყრობს მომხმარებელთა ფართო მასებს და ეს ტექნოლოგია მსოფლიოში გამორჩეული ქვევრის ღვინის წარმოებაა.

ათასეული წლების მანძილზე დამკვიდრებულმა ქვევრის ღვინის დამზადების ტრადიციულმა ტექნოლოგიამ აჩვენა მისი სრულყოფილება იმ პარამეტრების მიხედვით, რითაც ფასდება ღვინო. უფრო მეტიც, ამ წესით დამზადებულმა ღვინომ დაამტკიცა, რომ ის საშუალებას იძლევა დაცული იქნას პროდუქციის ეკოლოგიური სისუფთავე. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოება და მაღალი გემური თვისებები, უნიკალური და თავისებურია, როგორც ტექნოლოგიური პროცესი, ისე ის ჭურჭელი, რომლის გამოყენებითაც მიიღება და შეინახება ღვინო — ეს ქართული ქვევრია. ყოველივე ზემოთქმულის დასტურია ის ფაქტი, რომ UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის VIII სესიაზე ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ქვევრის ღვინის დამზადების 8000-წლიანი ისტორიის მანძილზე დაიხვეწა და პრაქტიკული გამოყენებისათვის მაღალეფექტური გახდა თიხისაგან დამზადებული ჭურჭლის — ქვევრის გამოყენება. მეღვინეობაში გამოყენებული თიხის ჭურჭლის ფორმის, მოცულობის, შენახვის რეჟიმის, ღვინის ხარისხის გემური თვისებების და სხვა მაჩვენებლების კვლევა არამარტო ქართველი, არამედ უცხოელი მეცნიერებისა და სპეციალისტების კვლევის საგნად იქცა. ქართული ისტორიული გამოცდილება ქვევრის ღვინის წარმოებაში იმდენად პრაქტიკული და მაღალკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა, რომ გაუძლო ყველა გარე ტექნოლოგიების შემოტევას და 21-ე საუკუნის მსოფლიო მეღვინეობაში აღიარების გზას დაადგა.

სამწუხაროდ, დღეს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომელიც საკუთარ საკარმიდამოში აშენებს ვაზს და ამზადებს ღვინოს საკუთარი მოხმარებისათვის თუ სარეალიზაციოდ, იყენებს პლასტმასის ჭურჭელს, რაც ვერ უზრუნველყოფს ღვინის დამზადებას თუ შენახვას იმ თვისებების შენარჩუნებით, რაც მიიღწევა სხვადასხვა ზომის ქვევრების გამოყენებით. ამიტომაც, ის ტრადიცია, რომელიც მსოფლიომ აღიარა და სხვადასხვა ქვეყნების მეღვინეები ცდილობენ აითვისონ, საჭიროებს ქვევრის ღვინის წარმოების ტექნოლოგიების დაცვას, გაფრთხილებას და

▶▶▶ გვ-4

ჩხავერი – მსოფლიო მევენახეობის შედევრი

გურიის ენდემურ ვაზის ჯიშებს შორის ჩხავერი განსაკუთრებით გამორჩეულია, როგორც მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ჯიში.

ფილოქსერისა და სოკოვან დაავადებათა შემოჭრამდე იგი მასობრივად იყო გავრცელებული მაღლარების სახით თითქმის მთელ გურიაში, აგრეთვე აჭარაში (განსაკუთრებით ქედაში), იმერეთში (ვანის რაიონი), მოგვიანებით – აფხაზეთშიც (გუდაუთა). ადგილობრივი მოსახლეობა მი-სგან აყენებდა განსაკუთრებული სტუმრებისთვის განკუთვნილ საუცხოო ღვინოს.

სამეურნეო დანიშნულებით მაღალხარისხოვანი საღვინე ჯიშია. გამორჩეულია სასუფრე ყურძნადაც. მისი მარცვლები, არც ვაზზე დატოვებული და არც დაკრეფილი, გადამწიფების ან შენახვის შემთხვევაშიც კი სრულებით არ ჭკნება, რაც, საერთოდ, იშვიათობას წარმოადგენს სხვა, მასზე უფრო ცნობილ ჯიშებშიც კი.

ზრდა-განვითარება – საშუალო. საშუალო მოსავლიანია. ხანდახან ახასიათებს მერყევი მოსავლიანობა, განსაკუთრებით მაღლარებზე. საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 60-დან 80 ცენტნერამდე (გუდაუთის რაიონში 100-120 ცენტნერსაც აღწევს, მაგრამ ხარისხი შედარებით დაბალია.)

სოკოვან დაავადებათა მიმართ მეტად სუსტია, განსაკუთრებით ზიანდება ჭრაქით და ნაცრით. ასევე სუსტად გამძლეა ფილოქსერის მიმართაც. საკმაოდ მოქმედებს მასზე ეკოლოგიური პირობებიც.

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მისი პროდუქცია იმდენად მაღალხარისხოვანია, რომ გაწეულ შრომას მრავალგზის ანაზღაურებს.

მეტად საგვიანო პერიოდისაა. მწიფდება ნოემბრის მეორე ნახევარში (უფრო მესამე დეკადაში). იყო შემთხვევები, როცა ჩვენი წინაპრები მას დეკემბერშიც კი კრეფდნენ და მაღლარზე (ხეებზე) კრეფის დროს გიდლის გამოცვლის შუალედებში მკრეფავებს კეცით ან თიხის ჭურჭლით ნაღვერდალს აწვდიდნენ ხელების გასათბობად.

მტევანი საშუალო ზომისაა. ცილინდრულ-კონუსური, ხშირად ფრთიანიც, მეჩხერი ან საშუალო სიმკვრივის. მტევნის საშუალო წონა 133 გრამია, დიდი მტევნის წონა კი – 252 გრამი.

მარცვალი – მუქი წითელი, ვარდისფერი იერით, საშუალო ზომის, ან საშუალოზე მცირე, თითქმის მრგვალი. საკმაოდ სქელკანიანი, ხორციანი და წვნიანი, ტკბილი, მისთვის დამახასიათებელი სასიამოვნო გემოთი.

წვენის გამოსავლიანობა 77,4%, ტკბილის შაქრიანობა საშუალოდ 19,5-21%, ცალკეულ შემთხვევებში კი 24% და მეტიც. საერთო მჟავიანობა – 8,1-9,6%.

აღმოსავლეთ საქართველოში იგი ერთი თვით ადრე მწიფდება და უფრო მეტი შაქრიანობითაც ხასიათდება, თუმცა ჯიშობრივი საგემოვნო თვისებები უფრო დაქვეითებულია.

ღვინო ძირითადად ღია ფერისაა (ჩალისფერიდან მუქ ვარდისფერამდე), მეტად ნაზი, ჰარმონიული, შინაარსიანი, მაღალი საგემოვნო თვისებების მქონე, ალკოჰოლისა და მჟავიანობის ნორმალური, ერთმანეთთან კარგად შეხამებული შემცველობით. სიძველეში ივითარებს გამორჩეულ მდიდარ ბუკეტს.

ვაზზე დატოვებული ყურძენი დეკემბრის ბოლომდე ძლებს, დაკრეფილი კი ადრე გაზაფხულამდე ინახება (დაუჭკნობლად!).



ჩხავერისაგან, გარდა სუფრის შავი ღვინისა, რომელიც თავისთავად საუკეთესოა („უკეთესს რას დალევს კაცი“), იწარმოება ასევე ბუნებრივი სიტკბოს შემცველი ნახევრადტკბილი მაღალი ხარისხის ღვინო.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად დასავლეთის ქვეყნებში დიდი მოთხოვნილებაა ამ ტიპის ღვინოებზე, რომლებსაც ნახევრადმშრალი (0,5-0,3% შაქრის შემცველობით) და ნახევრადტკბილი (3,1-8,0% შაქრის შემცველობით) ეწოდებათ. მაგალითად, გერმანიაში ღვინის წარმოების მოცულობაში ამ ტიპის ღვინოების ხვედრითი წილი 80%-მდეა.

ჩხავერის ნახევრადტკბილ ღვინოს, რომელიც საქართველოში ქარხნული წესით 1934 წლიდან იწარმოება, სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე მიღებული აქვს არაერთი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. იგი ერთ-ერთია ამ ტიპის იმ 8 ღვინიდან, რომლებიც მსოფლიოში საუკეთესოდაა აღიარებული. ესენია; ხვანჭკარა, ჩხავერი, ოჯალეში (საქართველო) შატო-იკემი, ბარზაკი (საფრანგეთი), აუსლეზე, შტეპლეზე (გერმანია) ტოკაის თვითნაბადი (უნგრეთი).

ასევე, ქარხნული წესით მისგან მზადდება ბუნებრივი ცქრიალა ღვინო („ჩქეფად“).

მათ, ვინც ოჯახურ პირობებში აყენებს ღვინოს, გვინდა შევახსენოთ, რომ ყველა ღირებული ღვინო საჭიროებს დროულ და საჭირო რაოდენობით გადაღებას (პირველ წელს სამჯერ, შემდეგ კი – წელიწადში ერთხელ); ასევე დაძველებას, ანუ გაუნძრევლად შენახვას სარდაფის პირობებში, სადაც ტემპერატურა შედარებით სტაბილურია და არ აღემატება +15 გრადუსს.

ჩხავერი, როგორც განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი ღვინო, ამ მოთხოვნის შესრულებასაც განსაკუთრებით მოითხოვს, თორემ ახალი ჩხავერის ღვინო (პირველ წელს მაინც) ერთი ჩვეულებრივი კარგი ღვინოა, **არაჩვეულებრივი** კი სწორედ დაძველების შედეგად ხდება.

ჩხავერს თავისი სიტყვა ჯერ ბოლომდე არ უთქვამს. წინაააა მრავალი კონკურსი, ფესტივალი, აღიარება...

სტალინის მეხოტბე ნამდვილად არა ვარ, მაგრამ ისტორიული ფაქტია: ეს დიდი პიროვნება ჩხავერის ღვინოს გამორჩევით მიირთმევდა.

ამისთვის შეიქმნა თავის დროზე, 1929 წელს, ადგილის გულდასმით შერჩევის შედეგად, ბახვის ჩხავერის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა. ანალოგიური მეურნეობა არსებობდა საჭამიასერშიც.

დღეს, მიზეზთა გამო, ჩხავერის ზვრები გურიაში ძალზე მცირე რაოდენობით გვხვება, თუმცა, არის იმედისმომცემი ძვრებიც. ბოლო წლებში მის გაშენებას დიდი ყურადღება ექცევა. სასიამოვნოა, რომ დღეს მის ნერგებზე დიდი მოთხოვნილებაა. არაერთმა ბიზნესმენმა თუ მოყვარულმა მევენახემ გააშენეს იგი ან აპირებენ მის გაშენებას და არა მარტო გურიაში.

მისასალმებელია, რომ შპს „კახურმა ტრადიციულმა მეღვინეობამ“ მისი თავკაცის, ბატონი ზურაბ ჩხაიძის ინიციატივით, წლეულს გურიასა და აჭარაში ათეულათასობით ნერგი უფასოდ დაარიგა.

ჩხავერს ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ იგი იქცეს გურიისა და მისი მეზობელი რეგიონების ოჯახების შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ.

გურული კაცის საზრიანობამ და შრომისმოყვარეობამ, მადლიანმა მიწამ და კეთილშეზავებულმა კლიმატმა შექმნეს მსოფლიო მევენახეობის შედევრი – ჩხავერი, რომლითაც ნებისმიერი ერი იამაყებდა. ამ დონის ვაზის ჯიში საქართველოში, და გნებავთ მსოფლიოშიც, თითზე ჩამოსათვლელია.

ჩხავერი გურიის სახეა, ჩვენი სიამაყეა, ჩვენი წინამპრების ხსოვნაა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება, მოვლა და მოფერება სჭირდება.

გავაშენოთ, მოვუაროთ, შემოსავლის წყაროდ ვაქციოთ, ჩვენც მივირ-თვათ, სტუმარსაც გავუმასპინძლდეთ...

ანდრო ვაშალომიძე,
ა(ა)იპ „ფერმერული მეურნეობის ცენტრის“ სპეციალისტი მევენახეობა მეღვინეობის დარგში;
ასოციაცია „გურული ვაზის“ გამგეობის თავმჯდომარე.

<u>რეპორტაჟი</u>

გურული ვაზის აბორიგენული ჯიშების მაძიებლების მორიგი ექსპედიცია

დღე მესამე...

ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი“ და ასოციაცია „გურული ვაზი“ განაგრძობენ მასშტაბურ სამუშაოებს გურული ვაზის უცნობი აბორიგენული ჯიშების მოძიებისა და ფერმერულ მეურნეობებში დანერგვისათვის.

მორიგი ექსპედიციის ორკაციან ჯგუფს „ასოციაცია „გურული ვაზის“ პრეზიდენტის ანდრო ვაშალომიძისა და ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრის“ სპეციალისტის ლუკა კეჭაყმაძის შემადგენლობით, ჩანართ „გურულ ვაზზე“ მომუშავე ჟურნალისტები, გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი ნუგზარ ასათიანი და ამ რეპორტაჟის ავტორი თემურ მარშანიშვილი, ობიექტური მიზეზების გამო, მხოლოდ მესამე დღეს, 13 ოქტომბერს შევუერთდით.

აღნიშნული სპეციალისტების თქმით, წინა ორ დღეს მევენახე ფერმერთა საკარმიდამო ნაკვეთებზე მათ რამდენიმე ყურადსაღები ნიმუში აიღეს. თუმცა, არც 13 ოქტომბერს დავთარსულვართ და არც 14-ში მოგვცარვია ხელი.

ნაგომარში როინ დოლიძეს, საკუთარი საკარმიდამოს ჭიშკართან, 12 საათისთვის დავადექით თავზე. მანქანა დაქოქილი ჰყავდა და, როგორც გვითხრა, ბათუმს, ცოლშვილთან აპირებდა წასვლას და შვილიშვილებისთვის შემოდგომის ნობათის ჩატანას.

ნაგომარი დიდი სოფელია, აქ 500-მდე ოჯახი ცხოვრობს, მაგრამ ბატონი როინის ეზო-კარს ვერც ერთის კარმიდამო ვერ შეედრება. აქ თხილი და ვაზი დომინირებს, ორივე ახალშენია, ორივეს ეტყობა მზრუნველი ხელი. ვაზის ჯიშებიდან ჩხავერის თაყვანიმცემელია. ბორდოს სითხენაპკური ფოთლებიდან შავთვალა გოგონებივით იჭვრიტებიან სავსე და სიმწიფეში შესული მტევნები.

„თხილის მოსავალიც უხვი მქონდა და ყურძენსაც კარგი პირი უჭანს. ჩხავერზე ვაფანატებდი, ამიტომ სულ ის გავაშენე. გადასარევად წავიდა. ორი-სამი ძირი რაღაც უცხო გამოერია, ფოთლის ფირფიტითაც განსხვავებულია, მტევნის მოყვანილობითაც და გემოთიც. ვაზის ჯიშების ცოდნით ვერ დავიკვეხნი, მაგრამ ასეთი სხვაგან არსად მინახავს“, – ამბობს და ერთ-ერთ-ძირთან ჩერდება...

ნებართვა, ექსპედიციის პირველი ორი წევრის ხელის სისწრაფე და ამ განსხვავებული ვაზის აკიდო და ფოთლის ნიმუშები მზადა საჯიღაუროდ.

შემდეგი სამიზნე საჭამიასერია, კერძოდ, საჭამიასერის თემში შემავალი სოფელი მამულარი. აქ ოჯახს ვერ ნახავთ უვაზოდ. ზოგაგად, დღეს თითქმის ყველა სოფელს უჭირს, ამ მხრივ არც მამულარია გამონაკლისი, თუ ამ სოფელს რამე ღონე შერჩენია, ისიც ვაზისგან. ჰაერი ჩხავერისა და ცოლიკოურის სიმწიფეში შესული ყურძნის სურნელითაა გაჟღენთილი. აქა-იქ რთველი დაუწყიათ, მაღლარიდან დაკრეფილ ყურძენს ეზიდებიან გოდრით, გიდელით.

„დაბალი შავის“ თუ „ძველი შავის“ ძიებაში მარკოზ ეცადეიშვილის ოჯახი მიგვასწავლეს. 63 წლის მარკოზს სამი ვაჟი ჰყავს – გია ვასიკო, დათო და სამი ოდაც უდგას, ერთი, წაბლისა, სულ ახლახან ჩამოუტანია სურებიდან, საძირკველიც გაუდგამს და გაუმართავს სახლი. ჭიშკრიდან მარცხნივ, ფერდობზე ცოლიკოურია ჩაქარვებული, ოდისკენ გაჭრილ სივცეს კი მარჯვნიდან ალადასტურის ტალავერი გასდევს, მარცხნიდან – ჩხავერისა. ადასტურებს, რომ მამამისს ჩხავერის ნარგაობაში სხვა ვენახიც ერგო, ხან „დაბალ შავს“ ეძახდნენ, ხან „ძველ შავს“, ძველ ფუძეზე ახლაც უნდა იყოსო შემორჩენილი ამონაყარი. კილომეტრნახევრიანი აღმართის შემდეგ იმ ძველი ფუძის ეზოში ვართ. მე და ნუგზარი ფოტოაპარატებით ვაფიქსირებთ დახუნძლულ ვაზს. ისე ასხია, ძნელი სათქმელია, ფოთოლია მეტი თუ მტევანი. მასპინძელი, ანდრო ვაშალომიძე და ლუკა კეჭაყმაძე დაღმართზე, ვენახის ბოლოში ეშვებიან. ცოტა ხანში მხოლოდ ვაზის ყლორტები ამოაქვთ, ნაყოფი დაცვენილა უკვე.

ეზოდან გამოსულებს, პირველივე ჭიშკართან სოფელში ვაზის ცნობილმა მყნობელმა ლევან ჭკუასელმა ვაზის ლერწზე მიგვანიშნა და მასპინძელს გასძახა. გამოვიდა ვენო ჭკუასელი, 83 წლის კაცი, გურულ საფერავად გაგვაცნო ეს ვაზი. ბატონი ანდრო ლერწს აკვირდება და არ ეთანხმება, ჰიბრიდიაო რომელიღაც. გაზაფხულზე ჩხავერის ხარისხიან ნერგებს მოგაწვდით, თუ მოუვლითო. რა შემატყვეთ ისეთი, რომ ვერ მოვუვლი? ასაკი კი მაქვს, მაგრამ ჯერ კიდევ მიჭრის ჭკუა და მუხლი. მადლობელი დაგრჩებით და რამდენიმე ძირს დავრგავ, მიწა არ მაქვს მეტი, თორემ მეტსაც ჩავყრიდი, ვენახზე უკეთესს რას გავაშენებ. ისე, ეკლესიისთვის გამოყოფილ 2 ჰექტარ ნაკვეთზე მამა მათე (მახარაძე) აპირებს ჩხავერის გაშენებას, უფრო იქ დაგვჭირდება ნერგები და ამაზე დიდ საქმეს ვერ გააკეთებთ, – გვეუბნება და სახლისკენ გვეპატიჟება.

ბატონი მარკოზი არ თმობს სტუმრებს. დაბლა დავეშვით და შებინდებულზე მისი ერთ-ერთი ვაჟის ახალი ფუძე-ჭერი დავლოცეთ...

დღე ბოლო და არა უკანასკნელი...

მეორე დღეს, 14 ოქტომბერს ასკანგაცლილ, მაგრამ ძმები ასკანელების ძალისხმევით გამოჯანსაღებულ ასკანას მივაშურეთ, ბადრი ჯაველიძის კარმიდამოში თეთრი ჩხავერი ხარობსო. მასპინძელმა დაგვიდასტურა ინფორმაცია: თეთრყურძნიანი ვაზია, გემოთი და შეფოთლილობით საოცრად ჰგავს ჩხავერსო. ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრის“ სპეციალისტები ნიმუშებს პოლიეთილენის პარკში ათავსებენ. არის თუ არა ჯაველიძის ვაზი თეთრი ჩხავერი, ამას მევენახეობის ინსტიტუტის სპეციალისტები დაადგენენ.

სოფელ ფამფალეთში ვაზი პრიორიტეტული კულტურაა. პროფესიით მხატვარი, მთისპირისა და ვაკიჯვრის საჯარო სკოლების ხელოვნების დარგის მასწავლებელი ნუკრი ინწკირველი ის კაცია, ვისი ეზოც ვაზითაა დაბურული. აქ ალადასტური და ჩხავერი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან. ჯერჯერობით ალადასტური ჯაბნის, რადგან უფრო მწიფედ გამოიყურება, ჩხავერის მტევნებში კი ალაგ-ალაგ მწვანე მარცვლები შეინიშნება. ქედის რაიონიდან ჩამოტანილი ნაღდი ჩხავერიაო, ამბობს ნუკრი. შარშან უხვი და ხარისხიანი მოსავალი ჰქონია, ამინდს აბრალის, რომ წლეულს მტევნები თანაბრად არ შედიან სიმწიფეში. უცნობ ჯიშებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა. თუ სადმეა შემორჩენილი, დიდი კუკური ინწკირველის ოჯახში უნდა იყოს, მეც მაქედან წამოვიღე შარშან, გაისად

მოისხამს, ალბათო. თავგამოდებულ მასპინძელს ორი საათის შემდეგ დავაღწიეთ თავი. მარტო არ გამოგვიშვა, გამოგვყვა კუკური ინწკირველის შთამომავლის მამა ზაქარია ოჯახში. ეზოში ვაზის ნიმუშების აღებისა და დალოცვის შემდეგ, მამა ზაქარია ფამფალეთის ეკლესიის ეზოში შეგვიძღვა, ანდამატივით მიმზიდველია ორნავიანი ბაზილიკა. ვაზი აქაც ჩაუყრია მამა ზაქარიას. აქვე ნახავთ ნამდვილ სასწაულს – მაგიდის ფორმის უზარმაზარ ქვას, იგი ბახვის წყლის ხეობიდან ამოუტანია და აქ განუთავსებია მრევლს.

ინწკირველის ვაზის ნიმუშებიც ექსპედიციის კვლევის საგანი ხდება.

ფამფალეთიდან მთისპირისკენ გავწიეთ ჭუმუტას საძიებლად. ჭუმუტა ვაზის უძველესი ჯიშია. მთისპირში ერთ-ერთ უბანს ჭუმუტნარს ეძახიან. დამეწყრილი ადგილია და ძირითადად ნასახლარები უფრო მეტია, ვიდრე სახლები და კარმიდამოები. მოსახლეობა იხსენებს, რომ აქ ნამდვილად მოჰყავდათ ჭუმუტა, თუმცა, ახლა აღარაა შემორჩენილი. ნასახლარებში უპატრონოდ დარჩენილ ვაზს სხვა საშველი არ ჰქონია და პიზის კოშკივით დახრილი თხმელის კენწეროსთვის შეუფარებია თავი. იქნებ ეს იყოს ჭუმუტა, რამდენიმე ნიმუში აქაც აიღეს ჩვენმა სპეციალისტებმა.

ბახვის ჩხავერის ცნობილი ფერმერული მეურნეობა ბოლოსთვის შემოვიტოვეთ, აგრონომ ზურაბ ჯაველიძის ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, აქ 22 ჰექტარი სავარგულიდან 16 ჰექტარზე ჩხავერია გაშენებული. 15-16 ტონა მოსავალს ელოდებიან. გაშენებისას თურმე რამდენიმე უცხო ჯიშიც შეერია. წვიმს, ანდრო ვაშალომიძე რეზინის ჩექმებს იცმევს და ზურაბ ჯაველიძესთან ერთად ნაკვეთში შედის. აქედან კილომეტრნახევარი მაინც იქნება იმ განსხვავებულ ვენახებამდეო, გვეუბნება ზურაბი. ორივე მიდის. დანარჩენები მეველე ამირან დოლიძესთან ვრჩებით. ბატონი ამირანი 83 წლის კაცია. 1950 წლიდან აქ მუშაობს. იმ პერიოდს იხსენებს, როცა აქ „უდიპლომო სასიძო“ გადაიღეს:

„აქანე მოხდა მაი ამბავი, სამოცდაერთში გადაიღეს. კაი ხანს გასტანა გადაღებამ. კაკო კვანტალიანთან მოვასწარი დამეგობრება. ისეთ რაღაცეებს ყვებოდა, მუცელი ხელით მეჭირა. კაი ფეხისა დარჩნენ, მეორე წელიწადს 45 ტონა ყურძენი მოვკრიფეთ.

ბატონი ამირანის თქმით, 50-იან წლებში გუდაუთის, საჭამიასერის და ბახვის ჩხავერი ჩაუტანიათ მოსკოვში გამოფენაზე. ბახვის ჩხავერი შეუდარებელიაო, უთქვამთ. ამ ინფორმაციებს ბატონმა ამირანმა რამდენიმე ცინცხალი ანეკდოტი მოაყოლა და ამასობაში ანდრო ვაშალომიძე და ზურაბ ჯაველიძეც დაბრუნდნენ უკან.

საბოლოოდ, 20-მდე ნიმუში დამზადდა.

ანდრო ვაშალომიძის თქმით, თავის დროზე გურიაში არსებული 62 აბორიგენული ჯიშიდან აღმოჩენილია 45. ამ ოცი ნიმუშიდან ერთიც რომ 46-ე გახდეს, დიდი საქმე იქნება.

თემურ მარშანიშვილი,
ნაგომარი, საჭამიასერი, ასკანა, ფამფალეთი, მთისპირი, ბახვი.
13-14 ოქტომბერი, 2015 წელი.

ᲥᲕᲔᲕᲠᲘ, ᲥᲕᲔᲕᲠᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲝ ᲓᲐ UNESCO

მეღვინეები ცდილობენ აითვისონ, საჭიროებს ქვევრის ღვინის წარმოების ტექნოლოგიების დაცვას, გაფრთხილებას და რეკლამირებას.

ქართველი კაცი თიხის ჭურჭელს — ქვევრს დიდ სამეურნეო ფუნქციებს ანიჭებდა. ძნელია მოიძებნოს საქართველოს ტერიტორია მის ახლანდელ და ისტორიულ წარსულში, სადაც ქვევრის ნარჩენები დღესაც არ არსებობდეს. დღესაც ქართული თიხისაგან დამზადებული ქვევრები საბედნიეროდ მრავლად იწარმოება და უცხოელ ტურისტთა და ვიზიტიორთა მიერ სუვენირებად შეისყიდება. თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული ქვევრის ღვინო უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს უცხოელ სტუმრებზე. ისინი აღიარებენ ქართული მეღვინეობის მდიდარ წარსულს. ამიტომ ჩვენი ვალია ვამრავლოთ ქართული ქვევრების დამზადების ტრადიცია. ქვევრის ღვინის წარმოება თავისი სამომხმარებლო თვისებებით ავიყვანოთ მაღალკონკურენტუნარიან დონეზე. მეცნიერებმა კიდევ უნდა გააფაროონ კვლევები და მსოფლიოს დაუმტკიცონ, რომ ქართულ ქვერს, მასში დაყენებულ და შენახულ ღვინოს დამსახურებული ადგილი ეკუთვნის მსოფლიოს ღვინის მწარმოებელთა და მომხმარებელთა საზოგადოებაში. ჩვენ უნდა შევძლოთ, გავზარდოთ ქვევრებისა და ქვევრის ღვინის წარმოება და მსოფლიო ბაზრებზე მიწოდება.

ქართველმა მეცნიერებმა და მეღვინე პრაქტიკოსებმა დიდი შრომა გასწიეს ნატურალური ქვევრის ღვინის არამარტო საქართველოში, არამედ უცხოეთში პოპულარიზაციისათვის.

ასოციაცია „ქვევრის ღვინოს“ დამფუძნებლების სოლომონ ციაშვილის, რამაზ ნიკოლაძის, იაგო ბიტარიშვილის, ალავერდის მონასტრის და აბბა ალავერდელ-მიტროპოლიტ დავითის, ფირმა „ელკანას“, საქართველოს კულტურის სამინისტროს, ვაზის დეპარტამენტის ძალისხმევამ და რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილის ფილმმა ქართული ვაზის შესახებ განაპირობა, რომ UNESCO-მ მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა ქვევრი და ქვევრში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული ტექნოლოგია, მოიხსენია ის „უძველესად“ და ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, რომ საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოა.

ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲘᲓᲐᲜ „ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ VIII ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ“

ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲐᲛᲝᲠᲘᲒᲔᲜᲣᲚᲘ ᲕᲐᲖᲘᲡ ᲯᲘᲨᲔᲑᲘ

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ II

ᲭᲣᲛᲣᲢᲐ



ფართოდ იყო გავრცელებული გურიის თითქმის ყველა რაიონში, მეტადრე მის მთისპირა მიკრორაიონებში. ვაზები აღზრდილი იყო მაღლარად და, მიუხედავად მოვლის სიძნელისა, ნორმალური ზრდა-განვითერებით და მოსავლიანობით ხასიათდებოდა.

ადგილობრივი მოსახლეობა ჭუმუტას ყურძენს ძირითადად საჭმელად იყენებდა და ამრიგად იგი განკუთვნილი იყო სუფრის ყურძნის ჯიშად, თუმცა მისგან ღვინოსაც ამზადებდნენ, მხოლოდ არა მასობრივად. ჭუმუტას ყურძენი შენახვის დიდი უნარით გამოირჩეოდა. ვაზზე დატოვებული ყურძენი იანვრამდე ძლებდა, დაკრეფილი კი, გაზაფხულამდე ინახებოდა.

სოკოვან დაავადებათა და ფილოქსერას გავრცელების შემდეგ, ჭუმუტას ნარგაობა თითქმის მთლიანად განადგურდა. ამჟამად თითო-ოროლა ძირების სახით გვხვდება ძველი გავრცელების არეალში.

ჭუმუტას ღვინოს ახასიათებს მუქი მოწითალო შეფერვა, პიგმენტის საკმაო შემცველობით. საკმაოდ სხეულიანია, ტანინოვანი და ჰარმონიული, ოდნავ მომწკლარტო გემოთი.

გურიის პირობებისათვის ჭუმუტა ხარისხიანი წითელი ღვინის მომცემ ჯიშად ითვლება.

ჩამოთვლილ დადებით თვისებათა გამო, იგი ფართო ყურადღების ღირსია და მიზანშეწონილია მისი მასობრივად გავრცელება ნამყენების სახით, მეტადრე აღმოსავლეთ და შუა გურიის მთისპირა რაიონებში.

ᲡᲐᲙᲛᲘᲔᲚᲐ



გურიის თეთრყურძნიანი აბორიგენული ჯიში. ფართოდ იყო გავრცელებული მაღლარების სახით გურიის აღმოსავლეთ და დასავლეთ რაიონების მთისპირა სოფლებში. თეთრყურძნიან ვაზის ჯიშებს შორის საპატიო ადგილი ეჭირა, როგორც ადრეული მწიფობის უნარიანს და ამავე დროს ხარისხიანი პროდუქციის მომცემს.

ფილოქსერასა და სოკოვან დაავადებათა შემოჭრის შედეგად, მისი ნარგაობა თითქმის მთლიანად განადგურდა.

ასოციაცია გურული ვაზისა და ა(ა)იპ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრის“ ძალისხმევით ჯიში ფაქტობრივად ხელმეორედ იქნა მოძიებული.

ვაზზე დატოვებული ყურძენი ნოემბრამდე ძლებს, დაკრეფილი კი საზამთროდ არ ინახება. ყურძნის საგემოვნო თვისებების, ქიმიური შედგენილობისა და თვით მარცვლის კონსისტენციის მიხედვით, საკმიელა მიეკუთვნება ხარისხოვანი ღვინის ჯიშთა ჯგუფს. ამასთანავე, როგორც უხვმოსავლიანი და სხვა ჯიშებთან შედარებით ადრეულა მწიფობის უნარიანი, ფართო ყურადღების ღირსია. მისი მასობრივი გაშენება, ნამყენების სახით, ფილოქსერის გამძლე საძირეებზე, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ გურიის სოფლებში.

2011 წელს ბათუმში გამართულ ღვინის ფესტივალზე, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში ა(ა)იპ „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრის“ სპეციალისტის ანდრო ვაშალომიძის „საკმიელამ“ პირველი პრიზი დაიმსახურა.

ᲙᲚᲐᲠᲯᲣᲚᲘ



თეთრყურძნიანი ვაზის აბორიგენული ჯიში ყურძნის მაღალხარისხოვანი საგემოვნო თვისებებით, ტრანსპორტაბელობითა და შენახვის უნარიანობით (თითქმის გვიან გაზაფხულამდე). მტევნისა და მარცვლების გარეგნული სილამაზით, ამასთანავე უხვი მოსავლიანობით იგი სამართლიანად იჭერს პირველ ადგილს მთელ დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ სუფრის ყურძნის ჯიშთა შორის.

სოკოვან დაავადებათა და ფილოქსერას შემოჭრამდე მასობრივად იყო გავრცელებული მაღლარების სახით გურიის და ქვემო აჭარის რაიონებში. კლარჯულის რთველს ზოგჯერ ზამთრის პერიოდში აწარმოებდნენ. გადმოცემით, ზოგიერთი მეურნე კლარჯულისაგან ამზადებდა ღვინოსაც, რომელიც ხასიათდებოდა ღია მოჩალისფრო ელფერით, სასიამოვნო გემოთი და ბუკეტით.

კლარჯულის ერთეული მაღლარებია გადარჩენილი დასავლეთ გურიისა და მის მოსაზღვრე ქვემო აჭარის მთისპირა სოფლებში.

ხელსაყრელ პირობებში ახასიათებს უხვი მოსავლიანობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროდუქციის მაღალხარისხოვან თვისებათა გამო, კლარჯული მიეკუთვნება სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს და ამ თვალსაზრისით, მას დასავლეთ საქართველოში ბადალი არ მოეპოვება. ამიტომ იგი ფართოდ უნდა იქნეს გავრცელებული შავი ზღვის სანაპირო რაიონებში.

ᲐᲗᲘᲜᲐᲣᲠᲘ



გურიის თეთრყურძნიანი აბორიგენული ვაზის ჯიში. საღვინე-სუფრის. ფილოქსერასა და სოკოვან დაავადებათა შემოჭრის შედეგად, ეს საკმაოდ უხვმოსავლიანი ჯიშიც თითქმის მთლიანად განადგურდა.

შემორჩენილია მხოლოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში — შემოქმედში, ცხემლისხიდში, ბაღდადში.

ღვინო საკმაოდ მაღალი ხარისხის, მოჩალისფრო ელფერით, მდიდარი სხეულით და სასიამოვნო ბუკეტით,ხალისიანი მჟავიანობით, ხასიათდება ალკოჰოლის ნორმალური შემცველობით გააჩნია საქრის დაგროვების კარგი უნარი.

ბოლო წლებში ათინაური მევენახე და მეღვინე სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. დაისახა ღონიძიებებები ამ მაღალხარისხოვანი ვაზის ჯიშის ასაღორძინებლად.

2013 წელს ქალაქ ბათუმში ღვინის ტრადიციულ ფესტივალზე ათინაურის ღვინომ ერთ-ერთ ნომინაციაში გაიმარჯვა.

ათინაური პერსპექტიული, სტაბილურმოსავლიანი ჯიშია და მისი გაშენება რეკომენდებულია გურიასა და მის მეზობელ რეგიონებში — აჭარასა და იმერეთში